№ 13

1885 – 1890 წ.

კვირა, 24 მარტი

# თეატრი

№ 13

1885 – 1890 წ.

კვირა, 24 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული საკვირიაო გაზეთ

**„თეატრი"**

ღირს ერთი წლით . . . . 5 მან.
„ ნახევარ წლით . . . 3 „
„ ცალკე ნომერი . . . „ „ 15 კ.
განცხადების ფასი:
პირველ გვერდზედ . . . „ „ 20 „
უკანასკნელზედ . . . . . „ „ 10 „
თვითო სტრიქონის ადგილი.

ხელის მომწერლებს, გაზეთის გარდა დაურიგდებათ უფასოდ ექვსიდან თორმეტამდე ახალი წიგნი ანუ სურათი.

ხელის მოწერა მიიღება „თეატრის" კანტორაში, თავად-აზნაურთა ბანკის თეატრის ქვეშ, სასახლის ქუჩაზედ.

Контора Грузинской воскресной литературно-иллюстрированной газеты

**„ТЕАТРЪ"**

помѣщается на Дворцовой улицѣ, подъ театромъ Дворянскаго банка.

Плата за объявленія: на первой страницѣ 20 к., на послѣдней 10 к за мѣсто строки петита.

Адресъ для иногородныхъ: Тифлисъ, Контора газеты „Театръ".

თბილისი, 20 მარტს.

აგერ სამი წელიწადია, რაც თფილისის სათავად-აზნაურო ბანკის საზოგადო კრებაზე ყოველთვის გამწვავებული ბაასია დივიდენტის გამო. ვისაც ქვეყნისთვის გული შესტკივა და საზოგადო ინტერესს უფრო აფასებს, ვიდრე კერძო სარგებლობას, ყველა იმას ამტკიცებს, რომ დივიდენტი მეტი ბარგია ჩვენი ბანკისთვის და ისა სჯობია, ეს ფული საქვეყნო საქმეს მოხმარდესო. ისინი კი, ვინც ამ ლალას უფრო მოწყალების თვალით უყურებენ და ყნანებათ დივიდენტის მოსპობა, გაიძახიან: თუ მართლა დივიდენტი მოისპო, ბანკსა და ქვეყანასაც, სარგებლობის ნაცვლად, დიდი საფრთხე მოელისო. ეგრეთივე აზრი არის გატარებული და გამოთქმული «ივერიის» მოწინავე წერილში (ის. მე — 55 №). მართალია, წერილის ავტორს, ვითომც, ნეიტრალური ადგილი დაუჭერია, თავში საქმეს ობექტიურად უცქერის, დივიდენტის მოწინააღმდეგეთა და მომხრეთა სჯა და აზრები მოჰყავს, უფარდებს იმათ ერთმანერთს და დასკვნა ისე გამოჰყავს. მაგრამ, სამწუხაროდ, ავტორს თავი მაინც ვერ დაუმალავს და წერილს ცხადად ეტყობა, რომ მისი დამწერი თვითონაც დივიდენტის არსებობის მომხრეთა დასს უნდა ეკუთვნოდეს და მალიანაც უნდა თანაუგრძნობდეს.

ჩვენ ეს ყბად-აღებული კითხვა ისე ცხადი საქმე გვგონია, რომ მისი გაგება და გადაწყვეტა, ვგონებთ, მრიელ ძნელი არ უნდა იყოს და ამიტომაც საკვირველია, რომ იმაზე ასე დიდხანს და ასე ბევრს ლაპარაკობენ და მაინც კიდევ არ იქმნა, არა ეშველა-რა მის გამორკვევასა და გადაწყვეტას!

ჩვენ მკითხველს უნდა მოვაგონოთ, რომ ბანკების წესდებაში შეტანილია, სხვათა შორის, ერთი მუხლი, რომელიც განსაზღვრავს, რავდენი ნაწილი ანუ პროცენტი უნდა მიეცესთ, ჯამაგირს გარდა, წმინდა მოგებიდგან ბანკის მოხელეებს. ესეთი მუხლი, როგორც ვიცით, ქუთაისისა და თფილისის სათავად-აზნაურო ბანკების წესდებაშიდაც შაუტანიათ დაარსების დროს. ქუთაისის ბანკის საზოგადო კრებამ ეს მუხლი წესდებისა დიდი ხანია საზარალოდ ჰსცნა საზოგადო ინტერესებისათვის და გააუქმა კიდეც. ამის შემდეგ აგერ რავდენიმე წელიწადი გავიდა, მაგრამ მოხსენებულ ბანკს დივიდენტის მოსპობით, დარწმუნებული ვართ, სარგებლობის მეტი არავითარი ზარალი არ მისცემია: მისი საქმე ეხლაც ისე სწარმოებს, როგორც უწინ სწარმოებდა, როცა დივიდენტი არსებობდა მოხელეთათვის. დივიდენტი ხომ მოსპეს ქუთაისის ბანკში, მაგრამ ჯამაგირი მოხელეებისა თითქმის მაინც კიდევ ისევ დარჩა, რაც უწინ ეძლეოდათ და მისი გაორკეცება ფიქრადაც არავის მოსვლია. ამ პირობით არსებობს დღეს ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკი — დივიდენტი მოსპეს და არც ჯამაგირებისათვის მოუმატნიათ, მაგრამ ამით ბანკი არ დაღუპულა და არც არავითარი ზარალი და საფრთხე არ მოსვლია. მაშასადამე, დივიდენტის მოსპობით, იმედია, არც თფილისის ბანკი დაიღუპება, და დივიდენტის არსებობის მომხრენი და «ივერიის» რედაქციაც ამაოდ აშინებენ საზოგადოებას გვეუბნებიან: თუკი სხვა ბანკებში მიღებულია ეს წესი, რატომ ჩვენ ბანკებში კი არ უნდა იყოსო? საკვირველია ჭეშმარიტად! რა უფრო მერე რომ არის? ან სიდანა სჩანს, რომ დივიდენტი რომ არ ჰყოფილიყო შემოღებული მოხელეთათვის, უთუოდ ყველა ბანკები დაიღუპებოდნენ და იმათი საქმე უფრო ცუდათ წავიდოდა? ან კიდევ რომელი ბანკი დაიხსნა და ფაიფარა დაღუპვისაგან დივიდენტის არსებობამ? განა იმ ბანკებში, რომლებიც, უსინიდისო და გაუმაძღარი მოხელეების წყალობით, საფრთხეში ჩავარდნენ და გაკოტრდნენ, დივიდენტი არ არსებობდა? არა-უსინიდისო და გაუმაძღარ მოხელეებს ვერც დიდი ჯამაგირით დააკმაყოფილებთ და ვერც დივიდენტით. სინიდისიერი და პატიოსნები კი უდივიდენტოდაც ისრე კარგა ასრულებენ თავიანთ მოვალეობას და ერთგულად აწარმოებენ ბანკის საქმეს, როგორც დივიდენტით. განა, ბანკებს, გარდა, ცოტაა ქვეყანაზე ისრეთი საზოგადო დაწესებულება, სადაც მოსამსახურე პირებს ირჩევს საზოგადოება ვადით და მარტო გადაჭრილ ჯამაგირებს აძლევს, მაგრამ ამორჩეულნი მაინც გულს მოდგინედ და პატიოსნად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, რათა საზოგადოების ყურადღება და სიყვარული დაიმსახურონ?

თუნდაც დივიდენტი მოისპოს, მაინც ჯამაგირების გაორკეცება ჩვენ სრულიად საჭიროდ არ მიგვაჩნია ბანკში მოსამსახურე ვაჟბატონებისთვის, რადგანაც იმათ დღესაც იმოდენად საკმაო ჯამაგირი ეძლევათ, რომ სრულიად აჯილდოებს იმათ შრომას. ამიტომ ამაო შიშია, ვითომც, ბანკი უფრო დიდ ზარალს ნახავს, თუმც დივიდენტი მოისპო და ჯამაგირები კი გაორკეცდა. ჩვენ წინააღმდეგი ვართ როგორც

## ფელეტონი

### ბასკი

(თარგმანი)

ზამთრის ბნელს ღამეს, 1834 წ., ძლიერმა კარების რაკუნმა გააღვიძა მოხუცი დედაკაცი, რომელსაც ეძინა მშვიდათ თავის პატარა ქოხში, რომელიც, როგორც ჩიტის ბუდე, მიკრულიყო ხევის პირას კლდეზე. მოხუცმა დედაკაცმა გაიგონა ნაცნობი ხმა:

— გაგვიღეთ, დედიდა ამელია! მე ვარ პეტრე ზაგრა. მე მოგიტანეთ კაი ამბავი თქვენი ქმარისაგან. დედაკაცმა აანთო მკვარი და გამოვიდა დერეფანში, რომელის პატარა, დაბალი კარები იყო დაკეტილი მაგარი ხის ურდულით. რომ მიანათა პატარა ფანჯარას, დაინახა კარგა ნაცნობი პირისახე პეტრე ზაგარასი; ამიტომ საჩქაროდ გამოსწია ურდული, რომ სტუმარი შემოსულიყო. მაგრამ, რაწამს დედაკაცმა გაალო კარები, ზაგარა მივარდა ელვასავით დედაკაცს და მიწაზე წააქცია. ზაგარა მარტო არ იყო, მას შემოჰყვნენ მთელი გროვა ისპანელი სალდათები, რომლებმაც მაშინვე პირზე ხელი დააფარეს და შებოჭეს. შემდეგ შევიდნენ დაბალ და ვიწრო ოთახში, სადაც ბუხარში მბჟუტავი ცეცხლი ხანდისხან ალს აჩენდა და აშათებდა გამურვებულს თაროებს, კედლებს და ღარიბულს მორთულობას ოთახისას.

ბუხრის უკან, კუთხეში იდგა პატარა სარეცელი დაფენილი რბილი გძელბეწვიანი ტყავით. სარეცელზედ იწვა პატარა ბავშვი, რომელიც ხმაურობამ და იარაღის ჩხარა-ჩხურმა გამოაღვიძა. ბავშვი წამოხტა სარეცლიდამ. გაშტერებული უყურებდა დიდრონი შავი თვალებით უცნობ შეიარაღებულს გროვას. მათში რომ ნახა ნაცნობი პირი ზაგარი, ბავშვი მიეკედლა მას, როგორც ბღარტი თავის დედის ფრთების ქვეშა. მაგრამ ზაგარამ მკაცრად ხელი ჰკრა მას და რაღაც უთხრა გაჯავრებული კილოთი ბასკიურის ენით და მრისხანე ხმით უჩვენა ბავშს სარეცელი. შეშინებული ბავშვი შეხტა სარეცელზე და დაიმალა ტყავის ქვეშ, რომელიც საბნობას უწევდა. იმ დროს სალდათებმა შეშა შეუკეთეს ბუხარს და მიუსხდნენ გარშემო ცეცხლს; სულ იყო თერთმეტი კაცი თავიანთი უფროსით; უფროსი დაჯდა უშნო გაკეთებულ სკამზე და გამომცადი სახით უყურებდა ზაგარას.

— დარწმუნებული ხარ შენა, რომ ჩვენ იმათ დავიჭერთ იმ მაღაროში? ჰკითხა ბოლოს.

— რასაკვირველია, დარწმუნებით უპასუხა ზაგარამ. იმათმა მთავარმა მომცა პირობა, რომ უეჭველად იმ მაღაროში დამიცდის. ერთს საათს აქ შევეიძლიან მოსვენება, მემრე ორს საათზე მივახწევთ იმათ ბუდემდის. მაგრამ იქით მიმავალი ბილიკი ძალიან ძნელი გამოსაკვლევია. ის ბილიკი ნაცნობია მხოლოდ მთიულეთის მონადირეებისა; თქვენი შეუჩვეველი ფეხებისათვის-კი ძნელი იქმნება.

— შენ ჩვენი ფიქრი ნუ გაქვს. სჯობია შენ იფიქრო კარგათ, სანამ გადასწყვეტდე. შენ კარგათ იცი, რა საჩუქარიც მოგელის, თუ დღევანდელი საქმე ასრულდა; მაგრამ ღმერთს გეფიცები, თუ სადმე ხაფანგში მიგვიყვანე, მაშინ თავდაპირველად შენს სიცოცხლეს გასწირავ.

— ეჰე! ამთონი ხანი თუ მე ვემსახურებოდი ბასკიის საქმეს, ალბათ მე ვეცდებოდი უკეთეს საშოვარისათვის; და ფეხებს არ დაცვეცდი მხოლოდ თერთმეტი კაცს დასაღუპავად. მგონია, მე გითხარით ახლა თქვენზე მეტად მძულს ჩემი ძველი ამხანაგები.

— მაშ, კარგი, კარგი! აბა, ყმაწვილებო, სანამ თქვენც დაისვენეთ, ლონე შეიკრიბეთ შორს გზას წასასვლელად.

შემთბარი შეიარაღებული სალდათები მოჰყვნენ ჭამას და ღვინის სმას, ანთებული ფეჩის წინა მხოლოდ ერთი სალდათი არ მიეკარა ჭამას-სმას და დაღონებული იჯდა შორს თავის ამხანაგებისაგან. ის შეწუხებით უყურებდა ზარ-დაცემული ბავშვის კანკალს, რომელიც შეიმალა ტყავის ქვეშ. ოხვრა ტირილთან სალდათმა გაიგონა ცხადაც ჩურჩულით ლოცვა „Aita qurea". ეს სიტყვები მას ცხადათ შემოესმა, ის არ შემცდარა. იგი შეკრთდა, მწუხარედ თავი ჩაჰკიდა, ხელებზე დაეყრდნო და ღრმად ჩაფიქრდა.

ჩაფიქრებულს სალდათს ესმის სიტყვები ბავშვის ლოცვისა; ეს ბავშვი ყოველ სალამოს ძილის წინ წარმოსთქვამდა ხოლმე ამ ლოცვას ჩუმის ჩურჩულითა. ეს იყო მამაოჩვენოს სიტყვები თავის სამშობლო ენაზე, ძველ ბასკიურ ენაზე. დიდი ხანია, დიდი, რაც მაგათ გაცვალეს თავის საყვარელი სამშობლოს მთები სხვის ბარებზე — ვაკეებზე. ბევრმა წელიწადმა გაიარა იმის შემდეგ, იმის შემდეგ შემთხვევა არ ჰქონია ვისმესთან ლაპარაკისა თავისი სამშობლო ენაზე, მხოლოდ ღმერთს ელაპარაკება ხოლმე; მაგან წმიდათ შეინახა გულში სახსოვარი საყვარელი სამშობლო მხარეზე და მუდამ სალამოს იმეორებდა სიტყვებს ბასკიურის ლოცვისას, რომელიც დედამ ასწავლა ყმაწვილობაში. ის სულ პაწაწა ბავშვი იყო, როცა თავის მამასთან ერთად იძულებული იყო დაეტოვა პირინეის მაღლობი და გადასულიყო შორს, სამხრეთ-ისპანიაში, სადაც მამა მალე მოუკვდა. ბავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დივიდენტის არსებობისა, ისრე ჯამაგირების გაორკეცებისა.

სრულებით უსაფუძვლო შიშად მივვაჩნია ისიც, რომ, ვითომც, თუ ან დივიდენტი და ან გაორკეცებული ჯამაგირი არ იქმნა, მაშინ საზოგადოება ვეღარ იშოვის ისეთ ღირსეულ მოხელე პირებს, რომელთაც შეეძლოს ბანკის საქმე ერთგულად და კარგად აწარმოვონ. უწინ, იქნება, მართლა ძნელი საშოვარი იყო ჩვენში ესეთი პირები, მაგრამ დღეს კი, ღვთის მადლით, საკმაოდ მოიპოვება ჩვენში ისეთი პატიოსანი და საქმის მცოდნე ადამიანები, რომლებიც დიდის კმაყოფილებით ემსახურებიან საზოგადო საქმეს, თუ კი საზოგადოება ამოირჩევს, მარტო იმ ჯამაგირით, რომელიც დანიშნულია დღეს. ზემოთ წამოყენებული აზრი ცოტად მაინც იქნებოდა მართალი მხოლოდ მაშინ, რომ ის ვაჟბატონები, რომლებიც ჩვენ ბანკებში ემსახურებიან, მართლა, სპეციალურად ყოფილიყვნენ მომზადებული ბანკის საქმისთვის. მაგრამ განა არ ვიცით ჩვენ, ვინ ბრძანდებიან ისინი და ან რა სპეციალისტები იყვნენ, როცა საზოგადოებამ ამოირჩია ისინი და ბანკის საქმე მიანდო მათ! ჯამაგირებს რომ გვიწუნებენ და გაორკეცებას თხოულობენ, ისიც ხომ კარგად ვიცით, როგორი მაღალი ადგილები ეჭირათ ამ ვაჟბატონებს და ან როგორი ჯამაგირები ემლევოდათ, მინამ ბანკების სავარძლებში დაბრძანდებოდნენ!

ზოგიერთი ვაჟბატონები იმასაც კი გვეუბნებიან, და ეს აზრი «ივერიაშიაც» წარმოთქმულია, რომ საზოგადოება დივიდენტის მოსპობით, ვითომც, მსხვერპლს უნდა ითხოვდეს ბანკის მოხელეებისაგან, საზოგადო სარგებლობის გულისთვის. («ივერია» ამას «ჯვარცმად» უწოდებს). მაგრამ ესეც, ვგონებთ, თავის მოტყუილება და ტმაოდ ჩვილი უნდა იყოს, რადგანაც იმათ არავინ არ ეხვეწება: დივიდენტს ვერ მოგცემთ და, გეთაყვა, იმდენი სიკეთე ჰქენით, ეს თქვენი სადივიდენტო ფული საზოგადო საქმეს შესწირეთო. — მინამ დივიდენტი არსებობს, რასაკვირველია, არავის უფლება არა აქვს უთხრას იმათ, დივიდენტს ნუ აიღებთო, მაგრამ, რაკი ბანკის საზოგადო კრება მოსპობს დივიდენტს, მაშინ ესეთი უსაფუძვლო საყვედური სასაცილოდ უნდა ჩაითვალოს. თუმც კიდევ, მაინცდა-მაინც, დივიდენტის მოსპობა ვისმეს «ჯვართ-ცმად» მიაჩნია, ვინ ეხვეწებათ, დაუტევონ ეს ჯვარი!

## ახალი ამბავი.

— გენერალ-ადიუტანტმა თ. ლევან ივანეს ძე მელიქოვმა 16 მარტიდამ მიიღო მისს ბრწყინვალება თ. დონდუკოვ-კარსაკოვისაგან შემდეგი დეპეშა:

ვისწრაფვი მოგილოცო კარგი ამბავი: დღეს უმაღლესად დამტკიცდა გაიმართოს ტფილისში განყოფილება სახელმწიფო თავად-აზნაურთა ბანკისა. გულით მიხარიან, რომ მოხერხდა აგრე სასურველად გაყვანა ამ არსებითად დიდ საქმისა, რომელიც ასე სასარგებლოა ჩემთვის მეტად ძვირფას საქართველოს თავად-აზნაურთათვის. იმედი მაქვს, გაზაფხულზე უკვე გაიხსნას ეს განყოფილება ბანკისა.

თავადი დონდუკოვი

— გუშინ, 21 მარტს, დიდუბის ეკკლესიაში გადახდილ იქმნა ორმოცის წირვა განსვენებულ დიმიტრი ბაქრაძის მოსახსენებლად. მწირველი ბრძანდებოდა ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე თანამწირველობით ქალაქის არქიმანდრიტებისა და მღვდელთა. წირვის შემდეგ პანაშვიდი გადაიხადეს თვით განსვენებულის საფლავზედ. ხალხი ბლომად დაესწრო.

— განსვენებულის დიმიტრი ბაქრაძის ფონდის სასარგებლოდ მრავალ ადგილიდგან მოდის შემოწირულება. დღემდე ამ კეთილი საქმისთვის შემოსულია სულ 512 მან.

— 21 მარტს ქართული ხორის ამხანაგობამ ბ. ი. ი. რატილის ლოტბარობით გამართა კონცერტი სათავად აზნაურო ბანკის თეატრში. პროგრამა კონცერტისა ფრიად საინტერესო იყო, რადგან ყველა ნომრები ახალი იყო დართული. თუმცა ხმები განსაკუთრებით მოქმელი და მოძასილი, სუსტობდნენ, მაგრამ კონცერტმა, როგორც მოსალოდნელი იყო, კარგათ ჩაიარა. ხორო მღეროდა მწყობრად და ყველაფერში ეტყობოდა, რომ მცოდნე კაცი ჰყავს ხოროს მმართველათ. განსაკუთრებით კარგათ შეასრულეს გურული სიმღერები „ხელ-ხვავი“ „პატარა საყვარელო“ „თათრული ხელხვავი“? და „ხელ-ხვავის ბოლო“. კარგი იყო აგრეთვე დანარჩენი მოტივები, გარდა კახური სუფრულისა, რომელმაც მალიან უფერულად ჩაიარა. მე ვგონებ აქ დამწყობია დამნაშავე, რადგან „ჩაკრულოს“ და „სუფრულის“ დაწყობა ვერ გაურჩევია ერთმანეთისაგან.

თუმცა პროგრამა კონცერტისა საინტერესო იყო და კარგათაც შეასრულეს, მაგრამ ხალხი მაინც ცოტა დაესწრო.

— „კავკაზში“ ვკითხულობთ, რომ ტფილისის პოლიცმეისტრად დაუნიშნავთ როსინსკის მაგიერ ეხლანდელი ქუთაისის მაზრის უფროსი, სტატსკი სოვეტნიკი ლეონიდ მასტიცკი, რომელიც უწინ კიევის პოლიცმეისტრად ყოფილა.

— ამბობენ, ქართული ხოროს მოთავეს და ლოტბარს, არტისტს ბატ. რატილს განუზრახავს ამ ზაფხულში წავიდეს თავისი ხოროთი რუსეთში, რათა გააცნოს რუსეთს ჩვენი ხალხოსნური საგალობლები. თუმც მართლა შესძლო მან თავისი განზრახვის შესრულება, სწორედ რომ დიდი მადლობის ღირსი იქმნება. ამასთანავე არ შეგვიძლია, არ გამოვაცხადოთ ჩვენი საყვედური მის შესახებ, რომ ბატ. ალნიაშვილმა ისე წაიყვანა თვისი დაწყებული კარგი საქმე, რატილს გაწზე გაუდგა, ცალკე მეორე ხორო შეადგინა და ამით ორივე ხოროც სუსტი მალა ორად გაიყო.

— ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების სამმართველოში ამას წინად დიდი ალიაქოთი ასტეხა ამ საზოგადოების ზედამხედველი კომიტეტის თავ-მჯდომარის კონსტ. ბებუთოვის ტელეგრამამ, რომლითაც გამოაშკარავდა ამ საკრედიტო დაწესებულების ცუდი მდგომარეობა და მისი მმართველების ზოგიერთი ხრიკები. ყველანი მოუთმენლად მოელოდნენ ქალაქში ამ საზოგადოების წევრთა საერთო კრებას. ეს კრება მოხდა 18-ს მარტს. კრებაზე დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. ყველას უნდოდა შაეტყო, რითი გათავდება საქმე. მაგრამ აღმოჩნდა, რომ თვითონ ბებუთოვი კრებაზე არ მოსულიყო. წინ-დახედულ მმართველებს თურმე თვისი მბრალმდებელი ადრევე დაეთხოვნათ, როგორც თავმჯდომარის თანამდებობიდგან, ისე სრულიად წევრობიდგანაც და ამ გვარად მოესპოთ მისთვის უფლება, კრებაზედ დასწრებოდა. ზოგიერთი ორატორები ითხოვდნენ, რომ კრებას მოეწვია იგი და მოესმინა, მაგრამ იმათმა ცდამ ამაოდ ჩაიარა. კრებამ თითქმის ერთ-ხმად კანონიერად იცნა საკრედიტო ბანკის მმართველების ყოველგვარი მოქმედება და მომავლისათვისაც იგივე უწინდელი მმართველი, ბატ. ამათუნი ამოირჩია. ამბობენ, ეს საქმე ამით კიდევ არ გათავდებაო—ვნახოთ.

ბატონო რედაქტორო!

თუ შეიძლება ამ ორიოდე სიტყვას თქვენ პატივცემულ გაზეთში მიეცით ადგილი.

## ქართული თეატრი

წარსულს კვირას, ოთხშაბათს, ქართულ თეატრში იყო გამართული ქართული კონცერტი იმ ხოროს ამხანაგობისაგან, რომელსაც მოთავეთ და ლოტბარათ ჰყავს არტისტი რატილი. მეორე დღეს, ხუთშაბათს, იყო გამართული ერთი ყმაწვილ კაცის სასარგებლოდ წარმოდგენა დივერტისმენტით, რომელშიაც აკაკიმ ლექსები წაიკითხა, გაბუნიას ქალმა იმღერა; შემდეგ ალნიაშვილის ხორომაც მიიღო მონაწილეობა. ამ წარმოდგენაზე ვერას ვიტყვით იმის მეტს, რომ ქ. გაბუნიას ქალმა როლი სრულიად არ იცოდა და სხვებსაც უშლიდა თავისი როლის თამაშით და უცოდინრობით. შემთხვევამ მოიტანა და ვამბობთ, რომ ქ. გაბუნია ამ ბოლოს დროს საზოგადოებას მეტად თამამად ექცევა, თავისი არტისტიულ მოვალეობის ასრულების დროს, რაისაც ძალიან ცუდი გავლენა აქვს მაყურებლებზე და, თუ უნდა, რომ ძველი ქება-დიდება ცუდათ არ შეეცვალოს—სჯობს, თუ სცენა მოჰბეზრდა, თავი დაანებოს მას; ან არა და როლები ისწავლოს და მარტო თავის როლებში ითამაშოს.

აკაკიმ ახალი ლექსები წაიკითხა და მეტად გაახარა საზოგადოება: აფიშებში გამოცხადებული იყო „აბაშიძე იმღერებს ახალ კუპლეტებსაო,“ მაგრამ არ იმღერა, თუმცა საზოგადოება ძალიან აღელდა და ძალით თხოულობდა, რომ აბაშიძეს შეესრულებინა თავის სიტყვა და ემღერა. ამაზედაც მეტს აღარას ვიტყვით...

ორიოდე სიტყვით მინდა შევეხო ბატ. რატილის და ბერიძის ხოროებს. რატილის ხორო მღერის ნამდვილ იმიერულ და ამიერულ ე. ი. ქართულ ხმებს, მის მომღერლები გაბედულად მღერიან ყველა სამღერალს; ეტყობათ, რომ საქმის მცოდნე, გამოცდილი არტისტის ხელში არიან და მით მოჰყავთ სისრულეში თავდაპირველი აზრი, და ადვილადაც აღწევენ მიზანს. ბერიძის ხორო არც ერთ ქართულ ხმას არა მღერის. ამათ სიმღერებში პტელ-პტყელი ლექსების მეტი არა გვესმის-რა; ლექსის წაკითხვა მე მგონია უფრო სასიამოვნოა და გასაგებიც—ვიდრე სიმღერა. ეს ხორო ისე ექცევა მსმენელ საზოგადოებას, თითქო მათში არც ერთი მცოდნე ქართული სიმღერებისა არ ეგულებათ: ამათ ჰგონიათ იმერულს რომ დაეარქმევ—ქართველებს მართლა იმერული ეგონებათო და ამერულს რომ ვეწოდებ—იმერლები დაიჯე-

შეი იზრდებოდა სილატაკეში და უცხო ხალხში, რომლებიც სულაც ყურადღებას არ აქცევდნენ პატარა ბასკს, მხოლოდ დასცინოდნენ მისს მახინჯს ლაპარაკს—ისპანიურ ენას; მაგრამ იმან მაინც მალე შეითვისა ესენი და ისპანიელად გადიქცა; მხოლოდ გარეგნათ... ნამდვილად იმან ვერ შეითვისა უცხო-უცხო ქვეყანაში გადავარდნა და მუდამ ჰფიქრობდა შინ დაბრუნებაზე—თავის მთიან სამშობლოში. რასაც-კი იშოვიდა გროშს გროშზე ადებდა და ინახავდა იმ ტკბილის იმედით, რომ ოდესმე დაბრუნდებოდა და ნახავდა თავის საყვარელ სამშობლოს თოვლიან მთებს, რომლების კალთებში მას გაეტარებინა თავისი ყმაწვილობა.

აგერ, დაბრუნდა კიდეც თავის სამშობლო მხარეს; მაგრამ რა ნაირად? სულ არა ჰგავს ის დაბრუნება, როგორიც მას წარმოდგენილი ჰქონდა და ოცნებობდა. ჩარიცხული ქრისტინის ჯარში, ჩვეულებრივ იმათ რიცხვში, რომლებიც ახლა მიდიოდა პირინეიში აჯანყებული ბასკელების დასამშვიდებლათ, რომლებიც თავ-განწირვით იცავდნენ თავიანთ უფლებას და თავისუფლებას ისპანიის მთავრობის წინაშე. რა ნაირად დაუწყო გულმა ცემა, როცა მან დაინახა გორიზონტზე თავისი ნაცნობი თოვლიანი მთები! ის მიდიოდა ზომიერის ნაბიჯით სამხედრო სალდათისა. ამას ფიქრათაც არ მოუვიდა, რომ ის მიდის თავის მოძმების სისხლის დასაღვრელათ. უნებლიედ დაემორჩილა იგი ძლიერ სამხედრო კანონს. იმან კიდევაც გაუგზავნა რამდენიმე ტყვია ბასკიელების გროვას, რომლებიც იდგნენ კლდის თავზე და სცდილობდნენ შეეფერხებინათ ჯარის სვლა. მაგრამ ახლა, უმეცრ ბავშვისავით წარმოიდგინა, ლოცავდა იმის სამშობლო ენაზე, შეუტრიალა მთელი მისი არსება. ახლა კი მოხდა იგი სიმართლე თავისი საშინელებით. ნუ თუ შერახლეს თავის ხმალს მოძმის სისხლში გასვრით?! ნუ თუ დაეხმარება მას, რომ ისინი სულ ერთმანეთს ხოცავენ, რომ ხმლის ძალით შეეერთებინა მტრის უღელს ქვეშ; წარმოიდგინეთ დანარჩენი ნაშთი ხალხოსნური უფლებისა? და რისთვის? ნუ თუ, ამისთვის რომ ისინი ჰფარამენ მამა-პაპურ მემკვიდრეობას და ლონის წინაალმდეგ ლონეს იჩენენ? თუმცა კიდევაც რომ ეს ხალხი ავაზაკები იყვნენ, მაინც იგი იმათი შვილია და უნდა იბრძოდეს თავისი სამშობლოს დასაფარველად. მან შეხედა ზაგარას. ამ ბასკმა ულალატა თავის მოძმეებს და ახლა სწადიან მათი უფროსის გაცემა: საძაგელი! აგერ ზის აქა და მშვიდათ სთვლის თავის დაწყევლილ ოქროებს, ცეცხლის წინა! ეს ფულები არის იუდასი. რა სიამოვნებით მივარდებოდა ამ საძაგელს და დაახრჩობდა, მაგრამ... ოხ რა ნაირი ტანჯვაა, არა თუ რა არ ახლავს იმ ზაგარას, თითო მონაწილედ ხედავს ამ მიდამოს ლებსა. ის თვითონ დაეხმარება ბაცემის თავის ხალხისა და მათ მოთავეებს დასჯილიყო. მაშ, ამა როგორ ახლდეს ყოველიფერს? იარაღით მიეხმარებს გამეცეს მოღალატეს? ეგი თუ ასეთ ანე მაშინ ის, როგორც მოღალატე აიზანდება, დაიღუპება და გამცემი თავისი იზამს.

— გასწიეთ, გზისკენ! დაიყვირა წინამძღოლმა.

— ყმაწვილი უნდა შევკრათ და პირი დაუცოთ, ურჩია ზაგარამ.

— ღრმად სძინავს, უპასუხა ჩაფიქრებულმა სალდათმა.

— დაანებეთ თავი, მხოლოდ კარები მაგრათ მიკეტეთ, რომ ვერ გამოვიდეს და დედა არ გახსნას, უპასუხა აფიცერმა.

ზაგარამ დაისარტყლა წელი მაგარი თოკით; ისეთივე თოკით შეისარტყლნენ მეორე სალდათებიც და ასე შეადგინეს გძელი ცოცხალი ჯაჭვი. ბილიკი, მიმავალი კლდის აღმართზე, ისე ვიწრო იყო, რომ მხოლოდ თითოთ კაცი ეტეოდა. ბილიკის მარჯვნივ დორიდა ჯაშში, მას მარცხნივ აღმართული და მყურებელი სალდათი, რომელიც გაგონა მთიულეთის ტყის ბანაკის ლოცვა. მოწოდა ზოგი თვითონ მიმცემი კლდეები თოვლი. მაგრამ ანიშნა დაეცეს ზაგარაში უცხო უფსკრულები.

ფრთხილად, მიაგონა ზაგარამ; ბილიკი მოლიპულია ყინულისაგან და მეტად დაღმართი ჩასავალია ღრმა ხევის პირას ამ კლდის იქითა. იქ მოუხვევთ მარჯვნივ. მთის ძირში გზა კარგი იქნება. მაინც ფრთხილად იყავით—კლდეს მიეკარით.

— რას ჩურჩულობ? მიბრუნდა უკან მომავალი სალდათისკენ და ჰკითხა, როცა მიახლოვდნენ იმ მოსახვევ ადგილას კლდისას, ლოცულობ, შეშინებული?

— სალდათმა შეაჩერა ჩურჩული, მხოლოდ გულში განაგრძო ლოცვა „Aitö qurea“. უეცრად გაანძრია თავის ძლიერი ბასკიური ბეჭები, მიეყრდნო ელვასავით წინამძღოლს, მიახლოვა იგი ზაგარას, კლდის პირას მდგომს, და ცოცხალი ჯაჭვი დაეშვა ძირს, კაცი კაცს მიჰყვა უძირო უფსკრულისაკენ...

ს. ზაგრელი.

რებენ ჩემს სიტყვასაო. ამისთანა ცდა ტყუილია და ალნიაშვილს და ბერიძეს ფონს ვერ გაიყვანს. «თეატრსაც» და „ივერიასაც" ბევრჯელ უთქვამთ, რომ ბერიძე, რომელსაც თავის დღეში არ გაუგონია თავისი ყურით არც ამერული და არც იმერული სიმღერა, რომელიც სრულიადაც არ იცნობს ჩვენს ხალხს და მის გულისა და სულის თქმას, რომელსაც წარმოდგენა არც-კი აქვს რა არის ხალხური სიმღერა, რომელიც, ერთი სიტყვით, მომზადებული არ არის ამ საქმისათვის (მომზადებად ვერავინ ჩასთვლის იმას, რომ როდისღაც ბერიძეს „Жилъ былъ у бабушки сѣреньки козликъ" — უგალობნია—როგორც წარსულს წელსაც სთქვა „თეატრის რეცენზენტმა)—ვერ შეიძლებს ხოროს მოთავეობას, რაიცა დამტკიცდა საქმით. . ალნიაშვილი?—ეს თუმცა კახელია მაგრამ, ეს ამ საქმეში ბერიძეზე უარესია. სიმღერები იქნება გაუგონია კახეთში, მაგრამ რას იზამს საცოდავი, რომ მუზიკალური სმენა (слухъ) სრულიად არა აქვს, ვინც მას იცნობს, ყველამ იცის, რომ სრული სამი თვე რომ უმღერო დამღერო—უფალო შევიწყალეს ვერ დაასწავლებ; —ნოტები ხომ არც-კი გაუგონია რა არის, მაშ, აბა ამისთანა პირები საქმეს როგორ წაიყვანდნენ?.. საზოგადოებამაც და მომღერლებმაც (გარდა იმათი, ვინც „დღეს შენია, ხვალ ჩემი")იმიტომ აღრიკეს ზურგი, სწორედ ამის მიზეზი უნდა იყოს, ჩემის აზრით, ის ხმები რასაც ალნიაშვილზე და ბერიძეზე ამბობენ: „ოქროს ძიება ამღერებთ და არა ქართული საქმეო. თუ ეს ასეა—მოტყუებულან, რადგან საზოგადოება უკვე მიემხრო რატილის ამხანაგობას... მაგრამ ეს, ჩემის აზრით, დასაჯერი არ არის თუმცა-კი არ ვიცით რითი ავხსნათ, რომ ბერიძე, რომელსაც ქართველები თვალის დასანახავად ეჯავრება, წუნკალებს ეძახის და ქართულ ლაპარაკს არც-კი კადრულობდა—უცებ ქართველების საქმის წინ მსვლელობას შეუდგა... ალნიაშვილი როგორც დაგვპირდა ქართული ხმები უნდა ნოტებზე გადაეღებინებინა—„არ დაიკარგოსო", ამისათვის კონცერტებს ჰმართავს, მაგრამ შემოსულ ფულს ჯიბეში იწყობს და საზოგადოებას კი, ქართულ ხმების მაგიერ, ფრანგულ — იტალიანურ— რუსულის ხმებით ატკბობს. დროა ალნიაშვილმა გაიგოს, რომ საზოგადოების მოტყუება ადვილი არა ყოფილა, და რატილის ხოროს ამხანაგობას დაუთმოს მოედანი და ან მას შეუერთდეს.

მაყურებელი.

## კუპლეტები

„ბოკაჩიოს" ხმაზედ.

ზოგიერთი რედაქტორი
აღვირ-აურილს ცხენსა ჰგავს;
მრუდედ სთესავს, მრუდედ ჰფარცხავს,
მრუდედ მკის და მრუდედ ჰხნავს.
შესაფერს პატივსაც სცემენ...
დღეცა სცემენ, ღამეც სცემენ.
ან-რა ცოდო-ბრალია,
დაუყენონ თვალია,
სესხია და ვალია!

—

ამბობენ, გრგვინვა-ქუხილით
მოდის მწყრალი ხორველა,
არ მოსწონს სანიტარები,
უნდა გასწყვიტოს ყველა.
თუ რომ „დუმა" არას ჰხედავს,
დამჯდარა და ბუხრებს სწმენდავს,
ჩემი არა ბრალია...
ორ-ორ შაურით უნდა
გადასწყვიტოს ვალია.

—

ჩოჩქოლობს მკურნალთა გროვა,
პირიდგანა ჰყრის ცოფებს;
გამწყრალი, გამქისებული
გაურბის ავადმყოფებს.
ან სად იყოს სხვის ზრუნვაში,
თითონ უნდა ქქიმბაში!.
რადა დასამალია,
ხუდადოვის ბრალია,
იმან არივ-დარია!

—

აგერ შეხეთ ბანკის დევ-გმირთ,
ჭიდილი აქვთ, ფლატუნი...
ყველა ამბობს, რომ დასცემსო
ბებუთოვს ამატუნი...
მაგრამ-კი თუ ქვეშ ორივეს
საქალაქო ბანკი მოჰყვეს,
ჩემი არა ბრალია...
სულ ერთ წუწკმა დეპეშამ
საქმე არივ-დარია.

—

კიდევ ბევრს ამბავს გეტყოდით,
ხვაშიადს დაფარულსა,
ამბავს ჩვენის დევებისას,
გმირულს, ფალავანურსა.
მაგრამ ვხედავ ბატონს „პრისტავს",
რისხვით მიქნევს თავის ხმლის თავს.
მაშ ნურას უკაცრავად,
თუ დაგიხვდით დღეს ავად,
კვლავ მოდით სანახავად.

დუმიკო

22 მარტი 1890 წ.

## რწმუნებანი და ლეგენდები კავკასიელ მთიულთა

(თარგმნი)

კავკასია საზოგადოდ მდიდარია ხალხური თქმულებებით, რომლებშიაც ისტორიას და ცრუ-მორწმუნებას ერთი და იგივე ადგილი უჭირავთ. ყაზბეგიდამ იალბუზამდე და ყუბანის შესართავამდე,—სავსეა ფანტასტიური გარდმოცემებით. მიუვალი ყინულიანი მთის წვერი, მთები დაბურული ტყით შემოსილი, ხევები და ღრანტები—სუ ყველა ეს, ხალხის წარმოდგენით, იყო ადგილი, სადაც სცხოვრობდნენ დევები, ავი სულები, კუდიანები და სხვ. აზოვის ზღვიდამ დაწყებული (ზელენჩუ) მდინარე ზელენჩუკამდე და თერგამდე ხუთასი ვერსის მანძილზე სცხოვრობს თხუთმეტიოდე მთიულების ტომი, რომლებიც ერთი შთამომავლობის არიან, თუმცა კი განირჩევიან ზოგიერთი ჩვეულებებით, თვისებებით და თითქმის რწმუნებებითაც. ეს მათი საზოგადო შთამომავლობა წოდებულია ჩერქეზებად, „სარ-ქიასაბათ"*). ეს არის მათი დარქმეული სახელი, თუმცა კი არც ერთი მათგანი არასოდეს არ უწოდებს თავის-თავს ჩერქეზად. ყოველი მათგანი გეტყვით, რომ ის ყაბარდენელია, შაპსუგი, აბაძეხი ანუ უბიხი ადიგეს ტომიდგან, ესე იგი ჩერქეზის. თუმცა ეს ზემოდ მოხსენებული მთიელთა ტომები ჩამომავლობით ნათესავები არიან, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მათ შორის დიდი ხნიდამ შური და მტრობა იყო და ხშირათაც სისხლის ღვრა ატეხილა. მთიულის ცხოვრება და რწმუნებანი იმ რიგად არიან შემდგარნი, რომ მთელი მათი აზრი და მნიშვნელობა ცარცვა-გლეჯაშია და ეს მათთვის არამც თუ სათაკილო და უპატიოსნო რამეა, არამედ დიდი სასიქადულო და საქებარია. და, ასე გასინჯეთ, ამაში მდგომარეობს მთიულისთვის საიქიო ნეტარების მიღწევის იმედიც. უფრო სახელის ვიდრე ქონების მოხვეჭის სურვილი აქეზებდა მთიელს ქურდობაზედ და ცარცვა-გლეჯაზედ. გმირის (ხეჯრეთის) საფლავი დაიქცევა და გაჰქრება, ხოლო სახელი მისი საუკუნოდ, ბრწყინვალედ დარჩება სიმღერაში. ასე ამბობდა მთიელების ერთი ანდაზა, ასე იმეორებდნენ და მღეროდნენ მათი პოეტები — იმპროვიზატორები. ბრძოლის ველზედ მოპოვებული საუკუნო სახელი და დიდება სასიქადულო იყო არა მარტო გმირისთვის, არამედ მთელი მის ნათესავებისათვის და ნაცნობებისათვის; აი ეს უფრო აქეზებდა მთიელს და თავს აღებინებდა გმირულ საქმეზედ. ამ რიგად მთიულების ხალხურ გმირების რიცხვი თანდა-თან მატულობდა. ამ გმირების ტიპები ერთ-გვარია: ნახევრად შემოსილი ტან-საცმელით, მოტიტვლებული გულით და დაფხრეწილი ფაფანაკით; მაგრამ, სამაგიეროდ, მშვენიერ ცხენზედ (ან მოპარული და ან მტრისაგან წართმეული) და დაუფასებელ იარაღში, რომელიც ბრძოლის ველზედ იყო ნაშოვნი. აი ის იდეალი, რომელსაც მიელტოდა მთელი თავის სიცოცხლის განმავლობაში მთიელი ერთი ჟანეველების ტომის ადიგეს ანდაზა შემდეგ შესანიშნავ სიტყვებს ამბობს: მტერთან ბრძოლის დროს, რაც შეგეძლოს, ყველაფერი წაართვი მტერს; შენს კუნაკში ყველაფერი შესთავაზე სტუმარს; შენს შვილობილისთვის კი ნურც შენს ქონებას და ნურც საკუთარ შენს სიცოცხლეს ნუ დაიშურებ. ჟანეველებმა შემდეგი საქმით დაამტკიცეს, რომ ამ მცნების ასრულებაზედაა დაფუძნებული მათი სააქაო დიდება და საიქიო ნეტარება. თითქმის მთელი მათი ტომი ამოწყდა განუწყვეტელობაში და სისხლის ღვრაში თავიანთ მეზობელ ტომთან, ხეგაიქსელებთან. ამ ხანგრძლივი ომის მიზეზი ის იყო, რომ კანბულატის, ხეგაიქსელების თავადის, უფლება იქმნა დამცირებული. ამ ორ ტომთა ბრძოლაში თვით კანბულატიც იღებდა მონაწილეობას და ერთხელ კიდევაც იმსხვერპლა თავ-ჟანეველების თავად ის ერთად-ერთი ვაჟი. მაგრამ ჟანეველებმა ყველაფერი ეს მიუტევეს და აპატიეს კანბულატს, როდესაც მან, შევიდა თუ არა ჟანეველების თავადის სახლში, დაიჩოქა თავის მოკლულის დედის წინ და სხვათა მას გამზდარიყო იგი მის ძიძობილად, რაზედაც თავადის ცოლი დაუყონებლივ დასთანხმდა. ამის შემდეგ ჟანეველები მზად იყვნენ ყოველი მისი სურვილი და ბრძანება აღესრულებინათ და, თუ საჭირო იყო, სიცოცხლეც შეეწირათ. მთიულების რელიგიოზური წარმოდგენის განმარტება ძნელია. აღმოსავლეთ კავკასიაში ისლამი გადვიდა სპარსეთიდამ, ხოლო ოსმალეთიდამ და ყირიმიდამ კავკასიის დასავლეთ ნაწილში. ამით აიხსნება, რომ უკანასკნელ ნაწილში „სუნის" სწავლაა გავრცელებული (წინასწარმეტყველი ჰომროსის თაყვანის ცემაა); პირველში კი ხშირია სპარსელების «შიის» რწმუნება, რომელიც უარ-ჰყოფს ჰომროს და აღიდებს ალის და შაჰგუსსცინს. მთიელის რელიგიოზური წარმოდგენა შესდგება სამი რჯულდგან: მაჰმადის, ქრისტეს და წარმართის რჯულიდგან. მაგრამ ამას უნდა დაუმატოთ ის შესანიშნავი მოვლენა, რომ ქრისტეს სარწმუნოების წარმოდგენები, მარხვები და ჩვეულებანი კარგად დარჩენია ხალხს მეხსიერებაში და ზოგიერთ ჩვეულებებს ქრისტეს სარწმუნოებისას გულ-მოდგინედ ასრულებს. ამ მხრით ყურადღების ღირსნი არიან ის მთიელები, რომლებიც მდ. ყუბანის პირას სცხოვრობენ, სადაც მომეტებული უქმეების ნაწილი შეწირულია წმინდა „მარიემის" დიდი ღმერთის „ისის" დედის სახელზედ. ქრისტეს სარწმუნოება დამყარდა კავკასიაში იუსტინიანეს დროს და დაჰყო 1600 წლამდინ უმთავრეს არგუმენტათ მაჰმადეს სარწმუნოების სასარგებლოდ მრავალცოლობა იყო. იმ ეკონომიურ სიღარიბეზედ და სოციალურ წეს-წყობილებაზედ რამდენიმე დედაკაცის სახლში შემოყვანას მთიელისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მეტადრე მით, რომ მთიული მათ უყურებდა უფრო, როგორც მუშას, მეტს ხელს საოჯახო საქმეში, ვიდრე თანასწორ-მეგობარს. თუმცა მთიელებმა მაჰმადის სარწმუნოების მცნება არჩიეს, მაგრამ უმრავლესობაში ქრისტიანობის კვალი არ აღმოფხვრილა. ბევრი მათგანი დადიოდა ეგრედ-წოდებულ წმინდა ჭალაში, სადაც ხეებზედ მიკრული იყო ხის ჯვრები. რადგან მათ აღარ ჰყავდათ „შიგინები, მღვდლები, ამიტომ თავიანთ შორის ამოირჩევდნენ ერთს ვინმე მოხუცს, რომელსაც ყველაზედ უკეთ ახსოვდა ლოცვები და საწირო წესები და ამასაც გულის წმინდით უნდა აესრულებინა თითქმის მთელი წირვა-ლოცვა. როდესაც თათრებს, რომლებიც სცდილობდნენ ძალიან გაევრცელებინათ მთიულების შორის მაჰმადის სარწმუნოება, შეუერთდნენ შაპსუგები და ყაბარდინელები, ბევრი ამ ტომიდგანვე აღუდგა ამ საქმეს წინ და სცდილობდნენ, როგორმე შეეჩერებინათ ისინი ქრისტეს სარწმუნოების სდევნიდგან.

„რისთვის შეურაცხჰყოფთ ჯვარცმას?„ ეუბნებოდნენ ისინი თავიანთ თანამემამულეებს. მისი სწავლა უფრო დიდი ხნისაა, ვიდრე მაჰმადისა. იგი თვით იტანჯა თავის მოძღვრებისათვის. მართალია, მიუგებდნენ ქრისტეს მოწინაღმდეგენი, იგი თვით წვალობდა და თავის მორწმუნებსაც უანდერძა. ტანჯვა და წვალება... ხოლო ჩვენ გვსურს ვიყოთ განცხრომაში და ნეტარებაში მის ჯენეთში დიდ წინასწარმეტყველებთან ერთად. და ამ სიტყვების დასამტკიცებლად მოუთხრობდნენ, თუ როგორ ერთმა შაპსუგმა, რომელიც სამი დღე გარდაცვალებული იყო, თავის თვალით ნახა, რომ საიქიოს ქრისტიანები, ისინიც კი რომლებიც სამოთხეში არიან ძლიერ მოწყენილად ატარებენ დროს, მაშინ როდესაც მუსლიმინები მხიარულებენ, ჯირითობენ და დიდს დიდს ნეტარებაში არიან. თუმცა ანაპის ფაშამ გასხანმა ჩვენ საუკუნის პირველ წლებში ოფიციალურად დაადგინა მაჰმადის რჯული კავკასიის დასავლეთ ნაწილში უფრო ძალით და ხმლით, ვიდრე სიტყვით და ქადაგებით, მაგრამ არც ერთმა მთიელმა აქამომდე არ იცის, რა სწამს მას და რომელ ღმერთს სცემს თაყვანს. უმრავლესობას, განსაკუთრებით ქალებს, რომლებიც ყოველთვის გულცივად ეკიდებიან კითხვებს სარწმუნოების შესახებ, სწამს პირველად დიდი თხა,—შემოქმედი მთელი ქვეყნისა, რომელიც მთიულს განუპიროვნებია სამებად: თხა შხუო (დიდი ღმერთი), მარიემი თხა—ეში (მარიამი—ღმერთი—თავადი) და შერგუფსა (სულის წმინდის განპიროვნება). ამათ მოსდევდა მთელი ფანტასტიური ღმერთების კრებული. ჯინი-პადიშახი (განრისხებული ანგელოზის დასახება) ანუ თეთრი ბაბუა, ავი სულების ბრძანებელი, რომელიც, ხალხის წარმოდგენით იალბუზის ყინულიან წვერზედ იყო მიკრული. ამის შემდეგ იყვნენ: შიბლე, ღმერთი ქუხილისა, რომლის უფლების ქვეშ იმყოფებოდა მეხი, ცეცხლი და წვიმა; მერმე ზეიკუთხი, რომელიც ჩამოგავს რომაელების მერკურის, ცხენოსნების, ღმერთი ავაზაკების და მოჯირითეების; კოდესი, ღმერთი თევზის, მფლობელი ზღვის და მდინარეების, ბოლოს, მეზითი ნადირობის ღმერთი, მინდვრების და ტყეების მფარველი; ღმერთი თლევსი, ღმერთი მჭედელი და საჭურველთ ხელოსანი და სხვა მრავალნი ღმერთები და სულები, რომლებთ შორის ნიმფებს და ფერიებს არა-მცირედი ადგილი უჭირავთ.

მრავალი ლეგენდები და რწმუნებები შეუდგენია ხალხის ფანტაზიას ამ ზემოდ მოყვანილ მითებზედ, ზოგიერთ ჩერქეზს ტომთა შორის აქამდინაც დარჩენილა მსხვერპლის მიტანა და სხვა-და სხვა დღეობის გადახდა. მაგრამ ყველაზედ უფრო დიდი დღეობა „აქინისაა", საქონლის და მინდვრების ღმერთის- ყოველს სამას წელიწადში იციან მთიულებმა ამ დღეობის გადახდა. მრავალი მთიულები იყრიან თავს ამ შესანიშნავ დღეობაზედ. ყველა კუთხიდამ იკრიფებოდა სხვა-და-სხვა ნათესაობა ჩერქეზთ ტომისა „თეთრ მსუქან აქინის ძროხის" გზაზედ, რომელიც მიდიოდა აფხაზეთიდამ მდინარე შაქეს სათავესთან, იმ ადგილს, რომელიც წოდებულ იყო „აქინ ითქაჩექაჲ". ეს ძროხა უნიშნო—თეთრი, გაივლიდა ერთად-ერთი მარტო რამდენიმე ასს ვერსს: არავინ არ სდევნიდა მას, ხოლო კი მას უკან მოსდევდა მრავალი ხალხი, რომელსაც თანდათან სულ ემატებოდა. ყველგან დახვდებოდნენ ხოლმე მას გზაზე სოფლის მამასახლისები თქვით, ჩვენი სეფისკვრის მგზავსია, რომელიც მის საკვებავად იყო დანიშნული, და შავი თხებით, რომლებსაც მსხვერპლის მიტანის შემდეგ, დღეობაზედ უნდა დაეკლათ, ნადიმობისთვის, რომელიც კარგა დიდხანს გაგრძელდებოდა. ამ დღეობის დასაბამი ღირს-საყურადღებოა. ერთხელ როდისაც მთიულები დაეცნენ თავიანთ მეზობლებს აფხაზებს და, დაბრუნების შემდეგ, მრავალი მოტაცებული ქონებით და ტყვეებით დატვირთულნი შეჩერდნენ დასასვენებლად იმ ჭალაში, რომელიც ღმერთი აქინის სახელზედ იყო შეწირული.

მთიულებმა, ადგილის სიწმინდის მიუხედავათ, გაბეს ლხინი და ქეიფი და მრავალი უწესოების ჩადენა. ბევრი დატყვევებული ქალი შეურაცხჰყვეს და ყველა თითქმის, მოხუცსაც და ახალგაზდას, ძალას ატანდნენ ეცეკვათ. თუმცა აფხაზებს და ჩერქეზთ შორის არავითარი საერთო არ აქვთ არც ჩვეულებებში და არც სარწმუ-

*) თავზე ხელ-აღებული.

ნოეშაში, მაგრამ ზოგიერთი ჩერქეზს ღმერთაგანი აფხაზებსაც სწამთ. აი ამიტომ ერთმა აფხაზის ქალმა, ცსბის ტომიდგან, რომელიც მძიმედ იყო, ძლიერ სამარცხვინოდ ჩასთვალა ცეკვა და დაიწყო ცხარე ცრემლით ლოცვა და ვედრება: აქინო! ნუ ინებებ, რომ შენს წმინდა ადგილში მოხდეს ჩემი გაუპატიურება და შეურაცხყოფა. მიხსენ და დამიფარე მე, შენი მუდამ მლოცველი, დ, გფიცავ, რომ ამიერ დამ ჩემი ტომი შენი მხურვალე მლოცველი იქნება. გაათავა თუ არა აფხაზის ქალმა ლოცვა, იწყო საშინელმა მიწის-ძვრამ და გასკდა დედა მიწა დაშთანქა ურწმუნო მთიულები, სადაც არ შექცეულიყვნენ, ყველგან იხსენებოდა დედა-მიწა და მარხავდა მათ ცოცხლად უფსკრულში. მარტოლა ტყვეები გადარჩნენ, რომლებმაც დიდი მადლობის შეწირვის შემდეგ გადარჩენისთვის, დაბრუნდნენ შინ და უამბეს ყველაფერი თავიანთ თანამემამულეებს. მას აქედ ცსბეს ტომი აქინის მფირველობის ქვეშ იმყოფება, ყოველ სამს წელიწადში მის აუარებელ საქონელში აქინი ამოირჩევდა ერთს საუკეთესო თეთრს ძროხას. არავინ არ დაასახელებდა მას, თვით აცნობებდა ეს ძროხა, რომ იგი აქინის, მიერ არჩეულია, სხვა ნაირი ბლავილით და უნცაური გრეხით და კლაკნით. გაიგებდნენ თუ არა ამ სახლის პატრონები, რომ მათ საკუთარ საქონელში აქინის ძროხა აღმოჩნდა, ჩაუიდოდნენ დიდიდამ პატარამდე ბოსელში, რძით დაბანდნენ ძროხას და დიდის მოწიწებით გადადენიდნენ ქიშკრის გადაღმა. მაშინ ძროხა მიდის თავისით დანიშნულს ადგილას და ვაი იმას გაიძას ვინც გაბედავდა მის ხელის ხლებას ყველგან დიდის პატივით და თავ-მოხრილნი დახვდებოდნენ მას და მისდევდნენ ხოლმე უკან. თავისუფლად გადიოლიდა მთიან ადგილებს, ღრანტებს, მდინარეებს და თითქმის მდინარე შაქემდინ არ ისვენებდა, სადაც დაწყებადა წმინდა ჭალაში, რომელიც ამ მდინარის ნაპირებზედ იყო. აქვე იყო გამზადებული უზარმაზარი ქვაბი, რომელიც მიწაში იყო ჩაფლული თითქმის აფხაზის ქალის აღთქმას დროიდამ, დიდკაკლის ქვეშ, რომელზედაც ჯაჭვზედ ეკიდა რკინის ჩამჩა. მთელ ღამის ლოცვაში და მარხულობაში გატარების შემდეგ, მამასახლისები და მსხვერპლის პატრონი სვამდნენ ღვინოს ამ ჩამჩით, რომლის დროსაც ხალხი ჩვენებურ ფერხულს გააბამდა სამსხვერპლოს გარშემო და გალობდა სხვა-და-სხვა რელიგიოზულ გალობებს. ამის შემდეგ დაჰკლავდნენ ხოლმე ძროხას და რაც უფრო მარდად დაჰკლავდნენ, მით, სჩანდა, რომ აქინისთვის მსხვერპლი სასიამოვნო იყო.

ბადრიძე

---

## სალიტერატურო საღამო

თფ. სათავად-აზნაურო

სკოლაში.

ამ თთვის 17-ს თფ სათავად-აზნაურო სკოლაში გამართული იყო საყმაწვილო სალიტერატურო საღამო. ამ საღამოს ბევრი წარჩინებული პირი დაესწრო; საზოგადოებ-კი იმდენი ხალხი მოაწყდა, რომ სკოლის დიდი დარბაზი ვერ იტევდა.

პატარა ყმაწვილებმა მშვენიერი კითხვითა და გალობით დაატკბეს და ასიამოვნეს ყველა დამსწრენი. ხალხის მხიარულებასა და აღტაცებას საზღვარი აღარ ჰქონდა. თუმცა მგალობელთა პატარა გუნდი ყმაწვილებიდგან იყო შემდგარი, მაგრამ იგი მაინც ძრიელ კარგად გალობდა როგორც ქართულს, ისრე რუსულ ხმებს. ჩვენ გვითხრეს, რომ სულ სამი თთვე არ არის, რაც ახალი ლოტბარი მიუწვევიათ გალობის სასწავლებლად სააზნაურო სკოლაში. მით უფრო ქებისა და მადლობის ღირსია ლოტბარი, ბატ. ჩხიკვაძე.

წაკითხვით კიდე უფრო ასიამოვნეს და გააკვირვეს ჩვენი სკოლის პატარა ყმაწვილებმა დამსწრენი: სწორედ რომ სასიამოვნო სანახავი იყო, როცა დიდი კრების წინ გამოდიოდნენ პატარა 10—12 წლის ყმაწვილები და ისე თამამად, ისეთი გრძნობითა და შეგნებით ჰკითხულობდნენ, თითქო გამოცდილი წამკითხველნი ჰყოფილიყვნენ. თუმც ყველა მათგანი ზეპირად კითხულობდა, მაგრამ არც ერთს მათგანს ერთხელაც არ წაბორძიკებია ენა. ქართულად ხომ მეტის-მეტად მშვენიერად ჰკითხულობდნენ ყველანი, მაგრამ რუსულ კითხვაშიდაც ეტყობოდათ კარგი ვარჯიშობა და გაწვრთვნა.

ყველა ნასწავლ ქართველს, ვინც კი ამ საღამოს დაესწრო, უეჭველია, ჩვენსავით მოაგონდებოდა თავისი სიყმაწვილე და თვალ-წინ წარმოუდგებოდა ის უმგზავსი სწავლა-წვალება, რომელიც გამოგვიცდია ჩვენ პატარაობისას. თფ. სათავად-აზნაურო სკოლის ყმაწვილებმა ცხადათ დაგვანახეს ამ საღამოს, რაც შეუძლია დედა ენაზე ყმაწვილის გონივრულ სწავლებას!

ქართველი.

---


წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул.. Караван-Сарай Земельн. Банка. № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნების რაც დღემდის დაბეჭდილია ქართულ, ნაზე და გასასყიდად კიდე ვ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

მან. კაპ.

გლახის ნაამბობი, ილ. ჭავჭავაძისა . . . . . „ 25
მეფე ლირი, თარგ. ილ. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლისა ინგლის . . „ 60
თხზულებანი ნ. ზ. ანტონოვისა . . . . . 1 „
ისტორია საქართველოსი, დ. ბაქრაძისა. . . . 1 „
მოკლე დარიგება ხეხილების გამრავლებაზე სურათებით, «მეურნეს გამოცემა» . . . . . „ 20
ქართული თეატრი ვ. გუნიასი. . . . . . „ 40
ბედი უბედურთა, მოთხრობა ნ. ლომაურისა . . „ 15
პატარა მოამბე, წიგნი II. ალ. მირიანაშვილისა, იმავე საზოგადოების გამოცემა . . . . .
ეჭა-ფშაველა, მოთხრობანი, „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემა. „ 30
სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულ ენაზე) . . . . 3 50
Я. Гогебашвили. Руководство для учиоелей и учительницъ грузинскихъ начальныхъ школъ къ преподаванію по книгѣ того-же автора «Русское Слово» . . „ 50
პირუტყვების ამბები, საყმაწვილო წიგნი სურათებით . . . . . „ 25
სურათები გლეხ-კაცას ცხოვრებიდამ ეკ. გაბაშვილისა. „ 10
გულივერის მოგზაურობა. „ 50
საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა. . . „ 15
ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . „ 15
თამარიანი, გუგუნავასი. . „ 50
ლექსიკონი, ჩუბინაშვილისა
I ნაწილი. . . . . . 3 „
II ნაწილი. . . . . . 3 „
დემეტრეს სახლობა, მოთხრობა ს. მკალობლიშვილისა . . . . . . „ 15
ვოლტერი ზ. ჭიჭინაძისა. „ 15
და, კრებული გამოცემული ალ. გარსევანიშვილისა . . . . . . „ 50
კრებული არითმეტიკულ გამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა . . . . „ 40
თარგმანი, გალექსილი გუგუნავასი . . . . . „ 50

„წერა-კითხვის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

მან. კაპ.

ბორკილი, დრამა ოთხ მოქმედ. ა. სუმბათაშვილისა, ნათარგ, ა. მ. ახნაზაროვისა . . . . „ 40
იავნანამ რა ჰქნა, მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის ი. გოგებაშვილისა . . . . „ 10
კედლის კალენდარი ჩარკვიანისა . . . . . „ 40
სახალხო კალენდარი 1890 წ., ვალერიან გუნიას შედგენილი და გამოცემული . . . . . . „ 10
საყმაწვილო ამბები თ. ასათიანისა, ფასი . . . „ 10
საეროო კედლის კალენდარი, 1890 წ ექ. ხელაძის გამოცემა . . . „ 52
ნ. ნიკოლაძის ნაწერი პირველი წიგნი. . . . „ 30
უბის წიგნი 1890 წ. ვალერიან გუნიას შედგენილი და გამოცემული . . „ 40
საქართველოს კალენდარი 1890 წ. მისივე. . . „ 50
ძმა ძმის მტერი მოთხრობა თარგმანი ა. წითლიძისა. „ 10
ქართული გრამატიკა თ. ჟორდანიასი. . . . „ 55
თვით მასწავლებელი ბიაშვილისა. . . . . „ 45

უმაღლესად დამტკიცებული „რუსეთის საზოგადოება“ თანხის და შემოსავლის დაზღვევისა, დაარსებული 1835 წელს.

საზოგადოება უზღავს

1, თანხას შვილებისათვის, ანუ სხვა მემკვიდრეებისათვის, ვინიცობაა დამზღვევი გარდაიცვალა.
2, თანხას, რომელიც შეუძლიან თვითონ დამზღვეველმა მიიღოს, როცა მოხუცდება.
3, თანხას, რომელიც მიეცემა დამზღვეველს აღნიშნულ ხნის შემდეგ, როცა თვითონ დასჭირდება შვილების დასაბინავებლად, ანუ ქალებისათვის სამზითვოდ.
4, პენსიას სიკვდილამდის, სამკვდროს და სხ.

უმთავრესი აგენტი და ინსპექტორი კავკასიაში ნ. გრუზენბერგი. ფოსტის და დეპეშის ადრესი: Грузенбергу Тифлисъ. 10—6.

ქაღალდის სკლადი

უმაღლესად დამტკიცებულის დიტრიტკოვის ამხანაგობის ფაბრიკისა.

აქ არის საწერი, სტამბის, გაზეთის, ფოსტის და სხვა ყველა ნაირი ქაღალდი, თეთრი და ფერადი. აგრეთვე ყველა ნაირი საწერლო კუთვნილებანი: დავთრები, საწერ-კალამი, მელანი და სხვა.

ფასი იაფად; როგორც ფაბრიკებშია.

Тифлисъ, Дворцовая ул., домъ Дворянскаго банка.

10—7

„ექსიკატორი“

სინოტივესა სპობს, იფარავს ხეს ლპობისაგან, იხმარება როგორც ზეთით შეზავებული საღებავი შენობისათვის და ხის მასალისათვის; ჰსწმენდს ჰაერს.

ვისაც გამოწერა სურს, მიჰმართოს შიო დავითაშვილს, გაზეთ „თეატრის“ კანტორაში.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ივერია

1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით . . | 10 მ.—კ | 6 თთვით. . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50„ | 5 „ . . . | 5 „ 25„ |
| 10 „ . . . | 8 „ 75„ | 4 „ . . . | 4 „ 70„ |
| 9 „ . . . | 8 „ —„ | 3 „ . . . | 3 „ 50„ |
| 8 „ . . . | 7 „ 25„ | 2 „ . . . | 2 „ 50„ |
| 7 „ . . . | 6 „ 50„ | 1 „ . . . | 1 „ 75„ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგი ადრესით:

**Тифлисъ, редакцію газеты ИВЕРІЯ.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზე თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. არა დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლში, № 21.


Доз. ценз. Тифлисъ 23-го Марта 1890 г. Типо Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ა. ნებიერიძე.